



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

## გვანცელაძე ვლადიმერ ვასილის ძე

გვანცელაძე ვლადიმერ ვასილის ძე (10. V. 1919, სოფ. უკანეთი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, - 22. VI. 1970, ქუთაისი), საბჭოთა კავშირის გმირი (3. VI. 1944), რიგითი. II მსოფლიო ომის (1939-45) დროს იბრძოდა ყირიმში, ჩრდ. კავკასიაში, ვორონეჟთან, კიევთან, ბელორუსიაში. მდ. დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიენჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოფ. უკანეთის კოლმეურნეობაში, 1951-იდან - ქუთ. აბრეშუმის კომბინატში. დაჯილდოებულია ლეინინის ორდენით და მედლებით.

**ტ. ჩინჩილაკაშვილი**

---